ცნობის ფურცელი

№ 2313 სამშაბათი, 4 ნოემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2313

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 ნოემბერს, 1903 წელს **გ. ვ. გედევანოვის საბენეფისოდ**
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქმნება

I

სევილიელი დალაქი

კომედია 4 მოქმ. ბომარშესი, თარგ. დ. ყიფიანისა.

II

დუელი

ხუმრობა 1 მოქმ. გად. კ. გალუსტოვის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, გაბუნია-ცაგარლისა, დავითაშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ივანიძე, საფაროვი, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

სამშაბათს, 4 ნოემბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქმნება

ფრანჩესკო და რიმინი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა ნაპრავნიკისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი რენე-რადინა, კარრი, სელიუკ; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, ამირჯანი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი. 5 ნოემბ.—ჯირალდონის მონაწ.—„ევგენი ონეგინი“. 7 ნოემბ. ჯირალდონის მონაწ.—„ბალ-მასკარადი“. (ნ).

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჟიჟინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი. - კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12 - 1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12 1 ს.

გრ. ვ. სოგოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვნაძისა. (წლ.)

გამოცდილი

მასწავლებელი,

ფრანგულისა და გერმანულის მცოდნე, **ამზადებს მოსწავლეთ** საშუალო სასწავლებლებისათვის. ადრესი რედაქციაში. (0—7)

ქუთაისში

ექიმი გ. დ. ნასარიძე

მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტიპარმაკლიძისა. (20—6.—10)

საზღვარ-გარედ

რუსეთისა და გერმანიის დაახლოვება

„ტაიმს“-ის ვენელი კორესპონდენტი იუწყება: ვენაში გერმანელ პოლიტიკოსთა წრეები დარწმუნებულნი არიან, იმპერატორების შეხვედრას შედეგად რუსეთისა და გერმანიის შეთანხმება მოჰყვებაო. ამბობენ, რუსეთი და გერმანია შორეულ-აღმოსავლეთის საქმის თაობაზე შეთანხმდნენ და ამნაირი პირობა დასდესო: თუ ვინიცობაა, რუსეთსა და იაპონიას ომი მოუვათ და ინგლისი თავის მოკავშირე იაპონიას დაეხმარება, გერმანია კიდევ თავის ჯარით რუსეთს უნდა მიეშველოს. რა ჯილდოს მიიღებს გერმანია დახმარებისთვის, ამაზე კორესპონდენტი არაფერს სწერს. შორეულ-აღმოსავლეთის საქმის თაობაზე რუსეთს საფრანგეთთანაც აქვს დადებული პირობა. ეგ არის კორესპონდენტი გადაწყვეტით არას ამბობს, რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას რა კავშირი ექმნება რუსეთ-საფრანგეთის შეთანხმებასთან. კორესპონდენტი სწერს: შესაძლებელია, რუსეთი, გერმანია და საფრანგეთი იმნაირადვე მოიქცნენ, როგორც 1895 წელს მოიქცნენ; მაშინ ამ სამმა სახელმწიფომ გამარჯვებულ იაპონიას ჩინეთში დაჭერილ ადგილებზე ხელი დააბანინაო.

რუსეთისა და იაპონიის მოლაპარაკება

„მორნინგ პოსტ“-ის პეკინელი კორესპონდენტი სწერს: იაპონიის ელჩმა რუსეთის მთავრობას მანჯურიის თაობაზე ნოტა ჩააბარა; რუსეთმა უპასუხა ელჩს, მანჯურიის თაობაზე ლაპარაკის უფლება მხოლოდ ჩინეთსა აქვს, სხვას არავისაო.

რუსული გაზეთები იუწყებიან: შორეულ-აღმოსავლეთში ომის მოლოდინის მიზეზით ვაჭრობა ძლიერ დაეცა, ნამეტნავად ინგლისისა და ამერიკის ვაჭრობას მოსდის დიდი ზარალი. ამერიკის ელჩმა ტოკიოში სთხოვა იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრს კომურას, ეცადენით, რუსეთთან მოლაპარაკება, რაც შეიძლება, მალე გაათავოთო. ამბობენ, ინგლისის ელჩმაც ამნაირი რჩევა მისცა იაპონიასაო.

ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, იაპონიის პირველმა მინისტრმა კაცურამ რუსეთის წინაამდეგ ლიგის დეპუტაციას გამოუცხადა, ურთიერთობა იაპონიასა და რუსეთს შუა მეტად გამწვავდაო. ამის თაობაზე „სავაჭრო-სატელეგრაფო სააგენტოს“ სწერენ ლონდონიდან: იაპონიის ელჩს ლონდონში შეეკითხნენ, მართალია ეგ ცნობა, თუ არაო. ელჩმა გამოაცხადა, მაგნაირი ცნობა არ მომსვლია, იქნება, კაცურას სიტყვა სწორედ ვერ გაიგესო.

იმავ სააგენტოს ატყობინებენ ლონდონიდან: „გაზ. სტანდარდ“-ი შორეულ აღმოსავლეთის საქმის თაობაზე სწერს, ეხლა-კი იმედია, რომ რუსეთი და იაპონია მორიგებით დაასრულებენ მოლაპარაკებასაო.

„დეილი მეილ“-ს სწერენ ტოკიოდან: „იაპონიის პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და გამოჩენილმა ვაჭრებმა კრება მოახდინეს და დაადგინეს, სასურველია, ჩვენი მთავრობა გაბედულად მოექცეს რუსეთს და მოლაპარაკება მალე დაასრულოსო“.

იაპონიის ფლოტი

ინგლისური გაზეთები იუწყებიან, იაპონიის ესკადრას პირველ-ხარისხოვანი სათადარიგო გემები დაუმატეს. ესკადრაში ამ ჟამად 6 ჯავშნიანი გემია, 8 ჯავშნიანი კრეისერი, 6 უჯავშნო კრეისერი, 1 ფოსტის გემი, 3 კანონირი, 14 ნაღმიან გემის ამფეთქებელი გემი და 40 ნაღმიანი გემი. მთელი ესკადრა, ორიოდე გემის გარდა, ნავთსადგურ სასებოში დგას.

რუსები იონამპოში

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რუსებმა ხელი აიღეს იონამპოზეო (კორეიაშია). ეხლა იაპონური გაზეთები იუწყებიან, რუსები დღესაც აქ არიან და მეტად მხნედაც იქცევიანო. კორეის სატახტო ქალაქ სეულში ხალხი მეტად აღელვებულია; კორეიელები ჰფიქრობენ, იაპონიასა და რუსეთს უსათუოდ ომი მოუვათო.

ჩინეთი გაჰბედავს ომსა, თუ ვერა?

დეპეშებმა და გაზეთება ცნობა მოიტანეს, ჩინეთის მთავრობა და ხალხი მეტად აღელვებულია, მეტად გაჯავრებულია რუსეთზე და იქნება მალე რუსეთს ომი გამოუცხადონო. გაზეთები დღესაც იუწყებიან: ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს წევრებმა სთხოვეს ქვრივ დედოფალს, რუსეთს დაუყოვნებლივ ომი გამოვუცხადოთო. ბევრს სჯერა კიდეც, შეიძლება, ჩინეთსა და რუსეთს საქმე სათოფედა და საზარბაზნეთ გაუხდეთო, „ბელგიურ გაზ. „ინდეპანდანს ბელჟ“-ი სულ სხვა თვალით უყურებს ამ საქმეს და ამტკიცებს, ჩინეთი რუსეთთან ომს ვერ გაჰბედავსო. გაზეთი სწერს:

„თუმცა ჩინეთი ძლიერ გულ-მოსულიცაა რუსეთზე, მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩინეთმა რუსეთს ომი გამოუცხადოს. გინდ სხვა სახელმწიფოებმაც წააქეზონ, მაინც ომს ვერ გაუბედავს რუსეთს. ჩინეთი არცაა დაჩვეული ტყვიას მუქარასა და ქადილს. უფრო მოლაპარაკებით უყვარს საქმის გადაწყვეტა. ბევრნი იმასაც ირწმუნებოდნენ, იაპონიასა და რუსეთს აუცილებლად ომი მოუვათო, მაგრამ ომი დღესაც არ მომხდარა, რა გასაკვირველია, რომ ჩინეთმა მუკდენის თაობაზე პროტესტი გამოაცხადოს და სხვა სახელმწიფოებსაც დახმარება სთხოვოს? მაგრამ ეს სულაც არ მოასწავებს ომის გამოცხადებას. ამას გარდა თუ ომი მოხდა, სახელმწიფოები უსათუოდ გაინაწილებენ ცისქვეშეთის იმპერიას. ჩინეთი, რაღა თქმა უნდა, დამარცხდება; სხვა სახელმწიფოები მარტო რუსეთს როდი ჩაუგდებენ ხელში უძლურ იმპერიას, თითონაც წილს მოითხოვენ. ასე რომ საქმე ჩინეთის განაწილებით დასრულდება. შეიძლება დიდი საერთაშორისო ომიც კი ასტყდეს ამაზე. ეს ომი ჩინეთს ზარალის მეტს არას მოუტანს და ჩინეთის მთავრობა, უეჭველია, ყოველ ღონეს იღონებს, რომ ომი თავიდან აიცილოს“.

ჟორესის სიტყვა

საფრანგეთში, არმანტიერში ფეიქრებმა გაფიცვა მოახდინეს. გაფიცულმა მუშებმა წინადადება მისცეს ქარხნის პატრონებს, ჩვენი დავა სამედიატორო სასამართლოს გადავსცეთ გადასწყვეტადაო, მაგრამ ქარხნის პატრონები არ დასთანხმდნენ ამ წინადადებას. ამ საქმის თაობაზე იქით კვირია შაბათ დღეს ზომიერ სოციალისტების მეთაური ჟორესი პალატაში მთავრობას შეეკითხა. განთქმულმა ორატორმა ისეთი მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა, რომ ბევრს ტირილი დააწყებინა. ჟორესმა მეტად ცოცხლადა და თვალ-ნათლად დაასურათა ქარხნის პატრონების ორ-პირი ქცევა; მეტად დიდი მოგება აქვთ და მუშებთან დადებულ პირობას სულ არად აგდებენ და ნიადაგ არღვევენო. ამის შემდეგ ორატორმა გაფიცულ მუშების საზარელი სიღარიბე და საცოდავი ყოფაც მძლავრად დაასურათა: ქარხნის პატრონებმა საქმე ისე გაუჭირვეს, რომ შრომის მოყვარე ხალხს, ლამის, შიმშილით სული ამოჰხდესო. ორატორმა სთხოვა პალატას, მუშებს შიმშილით ნუ დაჰხოცთ და ქარხნის პატრონებს ძალა დაატანეთ, რომ სამედიატორო სასამართლოს დასთანხმდნენო. ამას გარდა, ჟორესმა მოითხოვა, ფეიქრების საცოდავ ყოფის გამოსაკვლევად საპარლამენტო კომისია დავნიშნოთო. ჟორესს ბევრი სხვა დეპუტატიც მიემხრო. ქარხნის პატრონებს მარტო ერთი დეპუტატი, დანსეტი, გამოესარჩლა; დანსეტი ამტკიცებდა, ქარხნის პატრონებს სამუშაო ქირის მომატება არ შეუძლიანთ, რადგან საფეიქრო მრეწველობა ამ ჟამად დიდ გაჭირვებაშია ჩავარდნილიო. ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა ტრულიომ მთავრობის სახელით გამოაცხადა, მთავრობა ჟორესს ეთანხმება, რომ სამრეწველო ბრძოლას არმანტიერში უსათუოდ ბოლო უნდა მოეღოსო და მუშებისა და ქარხნის პატრონების გადასაწყვეტად სამედიატორო სასამართლო დაინიშნოსო. სამინისტრო არც იმის წინააღმდეგია, რომ მუშების ყოფის გამოსაკვლევად საპარლამენტო კომისია დაინიშნოსო. ამის შემდეგ ჟორესმა შემდეგი რეზოლიუცია წარუდგინა პალატას: „პალატას იმედი აქვს, რომ მთავრობა ეცდება არმანტიერში ატეხილი დავა სამედიატორო სასამართლოს შემწეობით გადასწყდეს, და ფეიქარ-მუშების ყოფის გამოსაკვლევად კომისიას დაჰნიშნავს“. მინისტრმა ტრულიომ გამოაცხადა, მთავრობა თანახმაა მაგ რეზოლიუციისაო და პალატამაც 5.2 ხმით 2 წინააღმდეგ ჟორესის რეზოლიუცია მიიღო.

სხდომის შემდეგ, პირველმა მინისტრმა კომბმა, ჟორესის თხოვნით, დეპეშა გაუგზავნა ჩრდილოეთის დეპარტამენტის პრეფექტს,—ეხლავე ურჩიეთ ქარხნის პატრონებს, რომ საქმე სამედიატორო სასამართლოს შემწეობით გადასწყვიტონო.

სამის წლის გაფიცვა ინგლისში

თითქმის სრული სამი წელიწადია, რაც ვითეზდაში (უელსის სამთავროშია) ლორდ პენრინის ქვის ქარხნებში ქვის მთლელმა მუშებმა გაფიცვა მოახდინეს. მუშები, სხვათა შორის, სთხოვდნენ ლორდ პენრინს, საქმე ჩვენ ტრედ-უნიონთან (მუშების კავშართან) იქონიეო და არა თითოეულ მუშასთან ცალკეო; მაგრამ ლორდი გაკერპდა, გაჯიუტდა და გაფიცულ მუშების მოთხოვნილება არ შეასრულა, არაფერი არ დასთმო. მუშებიც მეტად მედგრად მოიქცნენ და თითქმის სამს წელიწადს გაფიცულები იყვნენ. ამ გაფიცვის თაობაზე ბევრსა სწერდნენ გაზეთებში და პარლამენტშიაც ხშირად ეკითხებოდნენ მთავრობას. ამას წინად იმედი ჰქონდათ, კერპი ლორდი მუშებს ზოგიერთ საქმეში მაინც დაუთმობსო, მაგრამ ეს იმედი არ გამართლდა. ამ დღეებში მუშებს დაუდგენიათ მუშაობა დავიწყოთო. ასე რომ გულქვავი, კერპი ლორდ პენრინი გამარჯვებული გამოვიდა.

ახალი ამბავი

✦ გუშინ, საღამოს, ტფილისის საბჭოს კრებაზე მოხდა ქალაქის **გამგეობის წევრის არჩევა.** კენჭი უყარეს: ლ. თ. ტიგრანოვს, სტ. ქრელაშვილს, ა. ა. ივანენკოსა და იაკიმოვს. ამოუვიდათ: ტიგრანოვს 44 თეთრი და 30 შავი, სტ. ქრელაშვილს 28 თეთრი და 46 შავი, ივანენკოს 13 თეთრი და 61 შავი და იაკიმოვს 4 თეთრი და 70 შავი. ამ რიგად ამორჩეულ იქმნა ლ. თ. ტიგრანოვი.

✦ უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია, გამართოს **ბაქოში სახალხო სახლები** და, საზოგადოდ, მოაწყოს გასართობები ქარხნის მუშებისათვის. ამისთვის შესდგება განსაკუთრებული კომიტეტი, სადაც თავისი წარმომადგენელი ეყოლება ადგილობრივ ადმინისტრაციასა და სასულიერო უწყებას.

✦ ტფილისის რკინის გზის **სატეხნიკო სასწავლებელს** ამ თვეში შეუსრულდა არსებობიდან 25 წელიწადი. 25 წელიწადია აგრეთვე, რაც ამ სასწავლებლის უფროსად ბ-ნი რადეცკია. ამის აღსანიშნავად კვირას, 9 ნოემბერს, გაიმართება აქტი, რომელზედაც გარეშენიც არიან მიწვეულნი.

✦ 1 ნოემბერს ტფილისის სასწავლებელთა გამგე კომისიას უნდა აერჩია ქალაქის სკოლების **მასწავლებელთა კანდიდატები.** ამ კრებაზედ კომისიამ აარჩია მცირე კომისია, რომელმაც უნდა ცნობები შეჰკრიბოს და დანიშნოს კანდიდატები. კომისიაში არიან თავ. დ. ნ. თუმანოვი, ი. ა. მელიქ-ბეგლიაროვი, ს. დ. ლისიცინი და პ. მ. დოლუხანოვი.

✦ 2 ნოემბრისთვის დანიშნული იყო **სომხურ დრამატიულ საზოგადოების** წლიური კრება. კრება არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო.

✦ გუშინ, 3 ნოემბერს, ტფილისის მოქალაქეებმა ტრიფონ ჯამასპოვმა და მარქარ ბეკ-ავაქოვმა განცხადება შეიტანეს ქალაქის გამგეობაში. სთხოვენ, ქალაქმა ნება დართოს მოაწყონ ტფილისში **საავტომობილო მიმოსვლა.** პირველ ხანს უნდათ იქონიონ 20 ავტომობილი, ათი სახალხოდ და ათიც საბარგოდ. შემდეგ ყოველ წელს მოუმატებენ ოთხ ავტომობილს, თუ საჭიროება მოითხოვს—მეტსაც. თითო მგზავრს ქალაქის იმ ნაწილში, სადაც ტრამვაია, გადახდება 1 კაპ. ნაკლები, ვიდრე ტრამვაიზეა, ხოლო სხვა ნაწილებში—5 კაპ. რკინის გზის სადგურიდან საქონლის გადმოსაზიდ ავტომობილებზე დაწესებული იქნება შემდეგი გარდასახადი; ქალაქის შუაგულ ადგილებამდე ფუთზე $1\frac{1}{2}$ კაპეიკი, ქალაქის ერთი ნაპირიდან მეორემდე 2 კაპ. კონცესიონერები ქალაქის სასარგებლოდ გარდაიხდიან მთელის შემოსავლის 7%-ს. გარდასახადისა და ავტომობილების რიგიანად მოწყობის უზრუნველ საყოფლად კონცესიონერები ბედ წარადგენენ 1000 მანეთს.

✦ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორასთან არსებულ **შემნახველ კასაში** პირველ იანვრიდან 1 ნოემბრამდე შეუტანიათ 600,445 მან.; უკანვე გამოუტანიათ 283,958 მან.

✦ უკვე ვწერდით, რომ **ფოსტა-ტელეგრაფის** უწყებას აზრადა აქვს გააკეთოს საკუთარი შენობა გოლოვინის პროსპექტზე, სადაც ახლა სადგურია, და მოათავსოს იქ ფოსტა-ტელეგრაფის საოლქო გამგეობა, კონტორა და სატელეგრაფო სადგური. რადგან ეჭვი დაიბადა, რომ ეს შენობა გადასაკეთებლად არ ივარგებს, გუშინ საგუბერნიო სამშენებლო გამგეობის ტეხნიკოსებისაგან შემდგარი კომისია შეუდგა აღნიშნულ შენობის დათვალიერებას და შემოწმებას.

✦ კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის თანაშემწე ბ-ნი კოჟინი გუშინ-წინ წავიდა საქართველოს სამხედრო გზაზე არსებულ **ფოსტა-ტელეგრაფის კონტორების** დასათვალიერებლად.

✦ რედაქციამ მიიღო ახალი წიგნაკი, ნინოშვილის ამბავი „განკარგულება“, სომხურად გადათარგმნილი. გადათარგმნილია ლ. კ.—სა, ხოლო გამოცემული ს. იაგორიანცის მიერ. წიგნაკი შაურადა ღირს. თავში წიგნაკს ნინოშვილის სურათი აქვს დართული.

✦ უსინათლოთა სკოლის სამზრუნველო საბჭომ გუშინ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობის საამშენებლო განყოფილებას მოჰკირწლოს ეტაფისა და ივრაგის ქუჩები.

✦ სიღნაღის მაზრის სოფელ მაჩხაანის მცხოვრებს ნიკოლოზ ჯამასპიშვილს პუშკინის ქუჩაზე პეტრე ტარიელოვის დუქნიდან მოუპარავს 15 მან. და ნივთები. ქუჩაში გამოსვლის დროს ჯამასპიშვილი პოლიციელს დაუპატიმრებია.

✦ 1 ნოემბერს პოლიციის მე-2 ნაწილში დავითაშვილის სახლში ტფილისის მოქალაქე ვართან იუზალოვი წასჩხუბებია იოსებ გაბაშვილს. ჩხუბის დროს იუზალოვს დანით მძიმედ დაუჭრია დავითაშვილი. იუზალოვი დააპატიმრეს, ხოლო გაბაშვილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

✦ 31 ოქტომბერს მე-4 მსროლელთა ბატალიონის უნტერ-ოფიცერი პეტრე იუზბეხოვი რკინის გზის ლიანდაგზე გაუფრთხილებლობისა გამო ქვეშ მოჰყოლია ყარსიდან მომავალ სახალხო მატარებელს. იუზბეხოვი მატარებელ გაუსრესია სასიკვდილოდ. გვამი მიხეილის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

ᲨᲘᲜ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲔᲓ

29.

ამ დღეებში ერთ ჩვენებურ დაწესებულებაში მივედი. შევაღე თუ არა კარი, მაშინვე ყრონტში მეცენ იმ დაწესებულების მმართველნი:

—კაცო! რა ამბავია ეს, რომ პირზე სულ გლეხი და გლეხი გაკერიათ? „საწყალი გლეხი“, „უბედური გლეხი“, გაიძახით მუდამ, თითქოს გლეხის მეტი აღარავინ იყოს ჩვენში?!. თითქო ჩვენებური თავად-აზნაურობა გლეხობაზე ნაკლებ საწყალი და უბედური იყოს!

ამას მოჰყვა ჩვეულებრივი წუწუნი ჩვენის თავად-აზნაურებისა, რომლის საგანია დაარწმუნოს ყველა, რომ ახლანდელ დროში გლეხობის მდგომარეობა გაცილებით სჯობია თავად-აზნაურობისას. ვის არ გაუგონია ეს წუწუნი და მრავალი ილლიუსტრაციები, რომლით ასაბუთებენ თავად-აზნაურთა გაჭირვებულს მდგომარეობას? თქვენ არაფრით არ შეგიძლიათ შეაჩეროთ ეს წუწუნი: არც გლეხობის მდგომარეობის აღწერით, არც იმით, რომ დაეთანხმებით: მართლა, ბევრი ჩვენებური თავადი და აზნაური მეტად ცუდ ყოფაშია; მომჩივანი ფეოდალი თქვენ ყურს არ გიგდებთ და გაცხარებით ამტკიცებს—სად გლეხის და სად აზნაურის მდგომარეობა: ისინი, ჩვენთან შედარებით, ბედნიერნი არიანო!...

ამგვარ ფეოდალებთან კამათი უბრალო დროს დაკარგვაა. მათ ვერაფრით ვერ დაარწმუნებ, რომ ახლანდელ დროშიაც გლეხი უფრო ცუდად და ნაკლებ შეიარაღებულია არსებობისთვის ბრძოლაში, ვიდრე თავადი ან აზნაური; რომ მას მიწაც ნაკლები აქვს და ცოდნაც; რომ მრავალი მათგანი დღესაც „დროებით ვალდებული“ ყმაა; რომ ადგილ-მამულის სივიწროვე აიძულებს მას ისევ „უბედურ“ თავადსა და აზნაურს მიჰმართოს თხოვნით და მისგან აიღოს შესამუშავებლად მიწა იმ პირობებით, რომელსაც მეპატრონე მოითხოვს; რომ გლეხს საპალახო და ტყე არა აქვს და ამ მხრით დიდ შევიწროვებას ითმენს მებატონესაგან; რომ გლეხის პიროვნება დაჩაგრულია ადგილობრივ მოხელეთაგან და სხვა ათასი **რომ,** რომელთა მეოხებით გლეხობა დღესაც აუტანელ ეკონომიურსა და იურიდიულს პირობებშია.

ამით მე სრულიადაც არ მინდა ვთქვა, ვითომც თავად-აზნაურნი ბედნიერებასა და ფუფუნებაში არიან. არა, დღევანდელი ეკონომიური ევოლიუცია (კაპიტალიზმის განვითარება) მათ უმრავლესობის კეთილდღეობასაც უთხრის ძირს და აღარიბებს. კაპიტალიზმი ნელ-ნელა არღვევს ფეოდალურ წესწყობილებასა და ამზადებს კლასებს წოდებათა ნაცვლად. ჩვენებურ სოფელში ეხლაც უკვე არის ცოტაოდენი გლეხი, რომელთაც მეზობელ თავად-აზნაურებზე მეტი ადგილ-მამული აქვთ და, მეორეს მხრით, არის აგრეთვე სულ მცირე მამულის პატრონი თავადი ან აზნაური. მოვა დრო, როდესაც ეს პროცესი უფრო განვითარებული იქნება და ჩვენშიაც ამაღლდება სოფლის ბურჟუაზია; მაშინ გარჩევა იქნება არა გლეხისა და აზნაურის შორის, არამედ მემამულისა და ბოგანო ხალხის შორის. მაგრამ ეს მომავალში იქნება, დღეს-კი მხოლოდ სიმპტომებია ამისა, ხოლო ნამდვილად თავად-აზნაურობას უპირატესობა აქვს, ზოგი მეტ ადგილ-მამულის მფლობელობით მოპოვებული, ზოგიც სახელმწიფოსაგან მინიჭებული...

მაგრამ, ცოტა არ იყოს, საგანს ავცდი. მე ასეთ დიდ საკითხზე როდი მინდოდა მესაუბრა, ეს არც შესაძლებელია ჩემს პატარა „შინ და გარედ“-ში; მე მინდოდა მხოლოდ პასუხი მეგო ზემოხსენებულ დაწესებულების მმართველთათვის, რომელთაც მიკიჟინეს,—რა დაგიჟინიათ „საწყალი გლეხიო“ და სხვა. მართალია მათი სიტყვა, რომ სხვებიც გაჭირვებულნი არიან, მაგრამ ჩვენ უფრო ხშირად გლეხზე ვლაპარაკობთ: რადგან, როგორცა ვთქვით, მათი ყოფა უარესია, თავად-აზნაურობა-კი ისევ პრივილეგიური წოდებაა ჩვენში; მერე იმიტომ, რომ გლეხობა მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს და ჩვენც უმრავლესობის ინტერესების დაცვა უფრო საჭიროდ მიგვაჩნია; კიდევ იმიტომ, რომ ჩვენი გლეხობა მშრომელ ელემენტს შეადგენს და ჩვენც მუშა-მშრომელის ინტერესებს უფრო მაღლა ვაყენებთ; კიდევ იმიტომ, რომ თავად-აზნაურობას უჩვენოდაც ჰყავს დამცველ-მფარველი...

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენ მიერ დამსახურებული საყვედური რუსეთის პრესსაშიაც გაისმა. როგორც იცით, ახლა ცენტრის გაღარიბებაზე შეიქნა ლაპარაკი და ყველანი—პრესსაც, კომისიებიც, მთავრობაც—გლეხებზე ლაპარაკობენ, მათ გაჭირვებაზე და მათის კეთილდღეობის აღდგენაზე. გაზეთ „მოსკოვ. ვედომ“-ს ეს ძალიან სწყენია და საბრძოლველად ამხედრებულა. „უბედურ“ თავად-აზნაურობის დამცველად

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

„მე მიყვარდა ქართული თეატრი. ისე მიყვარდა, როგორც სამშობლო, ძვირფასი მეგობარი, კეთილი მამა, მოსიყვარულე ცოლი; უფრო ძლიერ—ისე მიყვარდა, როგორც ჩვენის წარსულის, ჩვენის დიდებულ წარსულის მასწავლებელი, როგორც თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ერაკლი და ჩვენ საწყალ საქართველოს თავისუფლებისთვის წამებულნი. ჩემს უფერულს და ტანჯვით სავსე ცხოვრებაში ქართულ თეატრს განსაკუთრებული ადგილი ეჭირა: იგი იყო ჩემთვის ერთგული მეგობარი; იმას თითქო ესმოდა ჩემი ბავშვური, გულ-უბრყვილო კითხვები, მამულისთვის სიკვდილის სურვილი და ამ გრძნობებს ჩემში თან-და-თან ზრდიდა და ბოლოს იქამდის მიმიყვანა, რომ ყოველ წუთს მზად ვიყავ—ნამდვილ სიმართლეს გეუბნებით,—ყოველ წუთს მზად ვიყავ ხმალი ამეღო და უცნობ მტერს ამაყად შევბრძოლებოდი. ხშირად თეატრის გულისთვის შიმშილ-სიცივეც ამიტანია. გულის ფანცქალით, თაყვანისცემით, თითქმის შიშით ვუყურებდი სცენას, იქ მოსიარულე და მოლაპარაკე კაცებს და ქალებს, და როცა პიესაში ქართველები იმარჯვებდნენ, მზად ვიყავ ჩემის ადგილიდან წამოვმხტარიყავ და იმათთან ერთად დამარცხებულ სპარსთ გამოვდგომოდი. როცა წარმოდგენის შემდეგ შინ ვბრუნდებოდი და მშიერ-მწყურვალე ჩემს ცივს ლოგინში ვწვებოდი ხოლმე, გათენებამდის პატარა კახს, გიორგი სააკაძეს და სხვა ქართველთა გმირებს ვესაუბრებოდი, აზრით იმათი ყურ-მოჭრილი მონა ვიყავ. ამგვარ ოცნებაში არა ერთი და ორი ათასი სპარსი მომიკლავს. მეორე წარმოდგენის საღამოს ისე ველოდი, თითქო იმ ღამეს ჩემი—არა, ჩემი კი არა,—თითქო იმ ღამეს საქართველოს ბედ-იღბალი უნდა გადაწყვეტილიყო.

„დრო მიდიოდა. მე ვიზრდებოდი და თანდა-თან ჩემს მასწავლებელს—თეატრსაც ვშორდებოდი. მე უფრო მეტი მოვითხოვე, მაგრამ ამაოდ,—თეატრმა საქართველოსადმი სიყვარულის მეტი თითქმის აღარაფერი მომცა. რამდენჯერმე ტფილისელი სომეხი ვაჭარი, ავლაბრელი კინტო, მაჭანკალი და კიდევ ქართველის დედის მსგავსი რაღაცა მაჩვენა და... მეტი არაფერი. ამით გათავდა ჩვენი სიყვარული. მე ჩემს ბელადს—თეატრს გავუსწარი და ჩვენ ეხლა ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. ჩვენ ერთმანეთისათვის უცხონი ვართ. ჩემთვის ქართული თეატრი თურმე ანბანის მასწავლებელი ყოფილა და მეტი არაფერი“.

დაახლოვებით ეს ვუთხარი ერთ ჩემ ნაცნობს, პატივცემულ მოხუცს ქართულ თეატრში, სადაც ამ სეზონში პირველად შევედი და ისიც ძალუა ჩემის თხოვნით: „ქართულ თეატრში დამპატიჟე და უეჭველად შენც წამოდიო“. მეც იმ პირობით გავყე, რომ მეორე, ან მესამე მოქმედების შემდეგ შინ დავბრუნდები მეთქი.

ჩემი უადგილო და უდროო აღსარება გამოიწვია პატივცემულ ქართველის ჩემდამი საყვედურმა: „თქვენ—(ეს ისეთი დასია, რომელსაც ზოგი „კოსმოპოლიტს“, ზოგი „ახალ მოდით ავადმყოფს“ და ზოგიც „მოღალატეს“ უძახის) თქვენ ყველანი ეგეთები ხართ: სანამ ახალგაზრდობთ—კიდევ არაფერი გიშავთ, ქართული თეატრი და ქართული პიესებიც გიყვართ, მაგრამ როცა წამოიზრდებით და რუსულ თეატრს გაიცნობთ, მაშინკი არამც თუ ქართულ თეატრში არას დროს არ შემოდიხართ, არამედ მზადა ხართ მთელი ჩვენი რეპერტუარი დასწვათ და ზარბაზნებით დაანგრიოთ ქართული თეატრი—ეს ჩვენი ერთად-ერთი ეროვნული დაწესებულება“.

მეოთხე მოქმედებაც დაიწყო, მაგრამ მე მაინც იქ ვიყავი. ჩვენ ფოიეში ვიდექით. რაღაც წავილუღლუღე და ჩემდა უნებურად სიტყვა „რეპერტუარი“ ვახსენე. ამ სიტყვის ხსენებაზე პატივცემულმა ქართველმა სუსტად გაიღიმა და დაიწყო ლაპარაკი: ახსენა იბსენ-ჰაუპტმანები, შექსპირი, „ჯავახიანი“, „დავით აღმაშენებელი“, „მტარვალი“, შეეხო ხელოვნებას, იმის მნიშვნელობას და... კიდევ ბევრი რამ ახსენა, მაგრამ ყველაფერს როგორ დავიხსომებდი. პატივცემული ქართველი მარიგებდა, მეკითხებოდა, ჩემს მაგივრად თავის კითხვაზე პასუხს თითონვე იძლეოდა და შემდეგ ამ პასუხს არჩევდა, სტანჯავდა, აწამებდა და ფეხქვეშ სთელავდა. „ვიღაც იბსენ-მიბსენები, ჰაუპტმანები, სტრინდბერგები და დრეიერები ჩვენ არას გვარგიან, განაგრძო იმან. ჩვენ გვაქვს „ჯავახიანი“, „დავით აღმაშენებელი“, „რუსთველი“, „მედია“ და სხვა. თქვენ კი ამბობთ, ეგ ძველი პიესებია, ჩვენ „ხალხის მტერი“, „ნორა“, მოჩვენებანი“, „ავადმყოფი ხალხი“, „ვანიუშინის შვილები“ და რომელიღაც „დამღრჩვალი ზარი“ გვაჩვენეთო. აი, მაგალითად, დღევანდელი პიესა... მაგრამ წავიდეთ, თორემ საცაა გათავდება, არ დაიგვიანოთ“.

პატივცემულმა ქართველმა ხელში ხელი გამიყარა და ჩვენის დიდებულის წარსულის სანახავად ზალისაკენ წამიყვანა და გააღო თუ არა ზალის კარები, მე ერთ არშინზე შევხტი: სცენაზე რაღამაც საშინლად იგრიალა; შემდეგ ვიღამაც ყარამანისებურის ხმით დაიყვირა: „საქართველოს გაუმარჯოს“-ო. იგივე სიტყვები ისეთისავე ძლიერის ხმით მეორემ გაიმეორა, მერე ორივემ ერთად გაიმეორეს, მათ შეუერთდნენ კიდევ სხვები და შეიქნა საშინელი ყვირილი და თოფების სროლა. მე პალტო წამოვიხურე და საჩქაროდ კარებისაკენ წამოველი. კიბეზე რომ ჩამოვდიოდი, უკან იგივე ძახილი, თოფების გრიალი, ტაშის კვრა და სკამების რახა-რუხი მომდევდა. თოფების გრიალით და ხალხის ღრიალით შეშინებული და აღელვებული ჩემს პატარა ოთახში დავბრუნდი.

პატივცემულმა ქართველმა თითქო რაღაც ღრმა გამოცანა მომცა: ვინ არის ჩვენ შორის მართალი? რა არის მიზეზი, რომ მე და ასს ჩემისთანა ქართველს, ერთ დროს ქართული თეატრის მოტრფიალეთ, ეხლა იგივე თეატრი თითქმის შევძულდა, ქართულ თეატრში აღარ დავდივართ, ყოველ რუსულ წარმოდგენას ვესწრებით და ამით თითქმის მოღალატის სახელი დავიმსახურეთ? ჩვენ ქართულ თეატრში გვეძახიან, გვპატიჟობენ და უფასოდ ლოჟაც რომ დაგვითმონ—არ მივდივართ და თუ წაველით როდისმე, მეათასეჯერ გვაჩვენებენ „პატარა კახს“, „ხანუმას“, „მტარვალს“, „თამარ ბატონიშვილს“. ჩვენ არ მოგვწონს ეს პიესები და ამიტომ ნახევარი საათის შემდეგ ან რესტორანს ვეწვევით, ანაც—პირდაპირ შინ წავალთ ხოლმე. ერთი და იგივე პიესა ზოგს ცამდე აჰყავს, ზოგი კი ფეხქვეშ იგდებს და სთელავს. იგივე პიესა ერთს ცხარე ცრემლით ატირებს, მეორეს კი გულიანად აცინებს, ბავშვის ტიტინით. დღეს დრამის შესახებ ქართული საზოგადოებაც ორ მოპირდაპირე ნაწილად არის გაყოფილი: ერთი ნახევარი ლოცულობს იმაზე, რის დანგრევასაც სცდილობს მეორე ნახევარი, ე. ი. ჩვენი საზოგადოების ერთი ნაწილი იცავს ჩვენს ისტორიულ პიესებს, ძველს კომედიებს, ეთაყვანება გ. რ. და დ. ერისთავებს, ანტონოვს, ა. ცაგარელს, ორბელიანს, შარვაშიძეს და ამგვარ დრამატურგებს. საზოგადოების მეორე ნაწილი კი თხოულობს ახალ ჰაერს, ახალ სიტყვას, ახალ გამაცოცხლებელ აზრებს და მიმართულებას. პირველნი უწოდებენ მეორეებს კოსმოპოლიტებს, მოდისტებს, „დეკადენტებს“ (?) და კიდევ რაღაცას. მეორეები თავის მხრივ უწოდებენ პირველებს—შოვინისტებს, რუტინიორებს, ჩამორჩენილებს, რეაქციონერებს, რეგრესისტებს და კონსერვატორებს. პირველნიც და მეორენიც ხელოვნებას ემსახუ-

ივერიელი

ამ გაზეთში გამოსულა მთელს რუსეთში ცნობილი რეაქციონერი ბოდისკო, რომელიც თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს იმათ სამდურავს, ვინც მე მომმართა საყვედურით. ბოდისკო სწერს: „საინტერესო ისაა, რომ ყველა მხოლოდ გლეხობის კეთილდღეობაზე ლაპარაკობს, თითქო ცენტრში სხვა წოდება არ იყოს ან სხვები ისე ბედნიერები იყვნენ, რომ მათთვის ზრუნვა მეტი იყოს“... ბოდისკოს საყვედურმა, რასაკვირველია, მედგარი წინააღმდეგობა გამოიწვია. გაზეთი „კურიერ“, მაგალითად, არაკეთილ სინდისიერობასა და გონების განუვითარებლობას უკიჟინებს ბოდისკოს. განა ბოდისკომ არ იცისო, ამბობს გაზეთი, რომ „გლეხობაა ის საძირკველი (ბაზისი), რომელზედაც დამყარებულია სრული ჩვენი სახელმწიფური შენობა, ასე რომ გლეხობის კეთილდღეობა იმავე დროს მთელის სახელმწიფოს კეთილდღეობაა“...

ამაზე მეტყვიან: რუსეთი სულ სხვაა: იქ თავად-აზნაურობა მართლა შეძლებულია და სხვა. მაგრამ, ეს ნამდვილი „ცრუმორწმუნეობაა“, რომელიც ჩვენში დამყარდა იმის გამო, რომ ჩვენებური ფეოდალები თავის მდგომარეობას ადარებდნენ რუსეთის მაგნატების მდგომარეობასთან და, რასაკვირველია, დიდ განსხვავებას ჰპოულობდნენ; საზოგადოთ-კი განსხვავება ძლიერ ნაკლებია, უფრო რაოდენობითი, ვიდრე თვისებითი და არსებითი. ამიტომ ჩვენც, როგორც რუსეთის ინტელიგენციას, ვალად გვაძევს მშრომელ უმრავლესობაზე ლაპარაკი, მით უმეტეს, რომ თავად-აზნაურობას ბოდისკოები ჩვენშიაც ბლომად აღმოუჩნდება...

გან

რუსეთის ქრონიკა

◆ 24 ოქტომბერს კიევის სატუსაღოში ტუსაღებს კიდევ გაუჩენიათ ცეცხლი. ცეცხლი გაჩენილა დაბლა სართულში, შეშის საწყობში, მაგრამ დროზედ შეუმჩნევიათ და ჩქარა ჩაუქრიათ. ეჭვი ავადმყოფ ტუსაღებზეა მიტანილი, რომელთაც სეირნობის დროს გაუღიათ შეშის საწყობი, შეშაზე ნავთი გადაუსხამთ და შემდეგ ცეცხლი გაუჩენიათ.

◆ „პრავიტ. ვეს.“-ში დაბეჭდილია ვაზას გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება. 1. ვაზას გუბერნიის ქალაქებსა და სოფლებში საჯარო კრებები და გასართობები უნდა იმართებოდეს ადგილობრივ მოხელეთა წერილობით ნებართვით; 2. კრებები და გასართობები უნდა სწარმოებდეს ნებადართულ პროგრამის თანახმად, ყოველ გვარი დარღვევა პროგრამისა აკრძალულია; 3. ამ სავალდებულო დადგენილების დარღვევის საქმე განხილულ იქნება ადმინისტრატიულის წესით.

◆ დღეს შაქრის წარმოება ხელთ აქვს ჩაგდებული რამდენსამე მდიდარ ფირმას, რომელიც თავის ნებაზე განაგებს არა მარტო მომხმარებელთა ინტერესებს, არამედ თვით ფხვნილ შაქრის წვრილ მწარმოებელთა ინტერესებსაც. მსხვილი მწარმოებელნი თავის სურვილისამებრ აწესებენ დაბალ ფასებს წვრილ მწარმოებელთაგან შესასყიდ შაქარზე. დღეს, როგორც „კიევსკ. გ.“ იუწყება, ფხვნილი შაქრის წვრილ მწარმოებელთა შორის გაცხარებული მოლაპარაკება, როგორმე იხსნან თავი მსხვილ მწარმოებელთა ბატონობისაგანაა. აზრად აქვთ შეერთდნენ და შეერთებულის ძალით ბრძოლა გაუწიონ მსხვილებს.

პრესსა

გაზეთებში დაბეჭდილია თავ. მეშჩერსკის მიერ „გრაჟდანინ“-ში მოთხრობილი ამბავი, რომელიც ბევრს ანეგდოტად მიაჩნია:

> ქალაქ №-ში ამას წინად უწესოებას მოელოდნენ. მეთაურნი წინ-და-წინვე აცხადებდნენ უწესოების დაწყების დროს და ალაგს. ქალაქს, რასაკვირველია, მაშინვე მღელვარება დაეტყო: შეიქმნა მითქმა-მოთქმა, ათასგვარ ჭორების გავრცელება; მუშები, ახალგაზდობა და „ხულიგანები“ დიდის ამბით ემზადებოდნენ.
>
> გუბერნატორმა მაშინვე განკარგულება მოახდინა, რამდენიმე „პოვოზკა“ „როზგი“ ეყიდნათ. განკარგულება, რასაკვირველია, სწრაფლ აასრულეს. მაშინ გუბერნატორმა ბრძანა, ყოველ პოვოზკაზე დიდის ასოებით დააწერონ: „როზგი“, და შემდეგ პოვოზკები ქალაქის უმთავრეს ქუჩებზე გაატარონ. მცხოვრებნი მეტად გააკვირა ამ უცნაურმა პროცესიამ; ყველა ჰკითხავდა მეურმეთ—ეს რა არისო; წინ-და-წინვე დარიგებული მეურმეები უპასუხებდნენ: ეს როზგი დამზადებულია ამ და ამ დღისათვის (უწესოებისათვის დანიშნულ დღეს) და ამა და ამ ალაგზე დასაწყობადაო.
>
> უწესოება აღარ მოხდა. ასეთ უბრალო საშუალებით გუბერნატორმა ხელი შეუშალა უწესოებას, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი მსხვერპლი მოჰყვებოდა. ეს ეპიზოდი მით არის შესანიშნავი, რომ როზგის ძალას ამტკიცებს; საკმარისია მისი დანახვა, რომ ყველა გამოფხიზლდეს. ვინც დაინახა როზგით დატვირთული ურმები ან გაიგო ეს ამბავი, ალბად ჯავრისაგან გულზე სკდებოდა, გუბერნატორს აგინებდა, მაგრამ უთუოდ ჰფიქრობდა: თუ ასე მოიქცა, ალბად გაროზგვასაც გაჰბედავსო; სჯობია, წყნარად ვიყოთ. სადაც ხალხი დარწმუნებულია, რომ მმართველნი გაროზგვას გაჰბედავენ, იქ უწესოება აღარ მოხდება. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ რუსეთში ყველა გუბერნატორს არა სწამს როზგის ასეთი ძლიერება, არ იციან, რომ ეს ძლიერება ნამდვილი აქსიომაა.

„პეტერბ. ვედომ.“ ამას დასძენს: თავ. მეშჩერსკის აქსიომასა და მეცნიერების აქსიომათა შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ მეტად მარტივნი არიან; გარდა ამისაო, განაგრძობს გაზეთი, თავ. მეშჩერსკის „აქსიომის“ ხშირად სისრულეში მოყვანა არ ივარგებს: თუ მცხოვრები ხშირად დაინახავენ „როზგების პროცესიას“, მალე შეეჩვევიან და აღარაფრად არ ჩააგდებენო.

ჩვენის მხრით უნდა აღვნიშნოთ, რომ თავ. მეშჩერსკი კარგა ხანია როზგის მოტრფიალეა და გულწრფელად სწამს, რომ „როზგით“ ბევრის საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტა შეიძლება. ბედნიერია მორწმუნე!

თეატრი

ქართული წარმოდგენა. კვირას, 2 ნოემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგინეს მელოდრამა „კოვერლეის მკვლელობა“. წარმოდგენამ რიგიანად ჩაიარა. სხვათა შორის, ამ საღამოს მონაწილეობას იღებდა ქუთათური მსახიობი ქ-ნი ივანიძე, რომელიც ძლიერ დრამატიულ როლს (გორდანის დედის) ასრულებდა. არტისტი ქალი ტფილისელ საზოგადოებას მოეწონა. ქ-ნი ივანიძე დახელოვნებული მოთამაშე აღმოჩნდა, თავი კარგად უჭირავს სცენაზე, გამოთქმა მკაფიო და გარკვეული აქვს. ცოტა იმერული კილო აფუჭებს საქმეს. ამ საღამოს როლი ქ-ნმა ივანიძემ შეგნებულად ჩაატარა.

დღეს, 4 ნოემბრიდან, ქართულ თეატრში ბენეფისები იწყება. პირველი ბენეფისი ერგო არტისტს გ. გედევანოვს. წელს ხუთმეტი წელიწადი სრულდება, რაც ბ-ნი გედევანოვი ქართულ სცენას ემსახურება. მოღვაწეობა ამ არტისტმა სომხურ სცენაზე დაიწყო (ნამდვილი გვარი მირალიან). ჯერ ისევ 1881 წელს, როდესაც გიმნაზიაში სწავლობდა, მონაწილეობას იღებდა სომხურ არტისტების მიერ გამართულ წარმოდგენებში. 1884 წელს გიმნაზიას თავი დაანება და არტისტობას შეუდგა ბ-ნ ჩმიშკიანისა და თავ. მ. ბებუთოვის რეჟისორობით. 1886 წელს შესდგა სომხურ-დრამატიული კომიტეტი ბ-ნ ის. ფითოევის თავმჯდომარეობით. ამ კომიტეტის დასში განსვენებულ ადამიანთან ერთად ბ-ნი გედევანოვი ორ სეზონს თამაშობდა. 1889 წელს ვასილ აბაშიძემ ბ-ნი გედევანოვი მიიწვია ქართულ სცენაზე და მას აქეთ იგი ჩვენ თეატრს ემსახურება. ბ-ნ გედევანოვის რეპერტუარი კლასიკურ და თანამედროვე პიესებისაგან შესდგება. თამაშობს კომიკურ როლებს. იმის საუკეთესო როლებად ითვლება: ზამბახოვის როლი (ხათაბალა), პატერისა (ყაჩაღები), ბობჩინსკისა (რევიზორი), პოლონიუსისა (ჰამლეტი), დოქტორის ბარტოლოსი (სევილიელი დალაქი), ფუშესი (მადამ სან-ჟენ), გრუმიოსი (ჭირვ. ცოლის მორჯულება), რეპეტილოვისა (ვაი ჭკუისაგან), ხეინეკესი (პატიოსნება), ფლაქსმანისა (პედაგოგები) და მრავალი სხვა. ბ-ნმა გედევანოვმა კარგა ხანია თეატრში მოსიარულე საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა. ამ საზოგადოებამ კარგად იცის, რა სინიდისიერად ეკიდება არტისტი ყოველთვის თავის საქმეს, კარგად სწავლობს როლებს, უკვირდება ყოველსავე წვრილმანს და, საზოგადოდ, სცდილობს, ხელოვნურად ჩაატაროს ნაკისრი როლი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დღეს საზოგადოება პატივსა სცემს არტისტის თუთხმეტის წლის მოღვაწეობას.

ქუთაისი. შაბათს, 1 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასმა წარმოადგინა ალ. დიუმა-მამის „ედმონდ კინი“. ეს დღე ვლ. მესხიშვილის დღესასწაული იყო. ამდენის ხნის უნახავი საყვარელი მსახიობი ამ სეზონში პირველად გამოვიდა სცენაზე. ამით აიხსნება ის აღტაცებული ტაშის კვრა, დაუსრულებელი „ვაშა-ვაშა“-ს ძახილი და სცენაზე ყვავილების სროლა, რომლითაც მიიღო საზოგადოებამ მსახიობი. მოგეხსენებათ, „ედმონდ კინი“ ბ-ნ მესხიშვილის ერთი საუკეთესო როლია. არტისტის თამაშმა საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ერთ წამს რომ გამხეცებულ ლომსა ჰგვანდა, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევდა, მეორე წამში ეს კაცი ისეთის სინაზით ეალერსებოდა, ელლიავე-

რებიან და იცავენ იმას ერთისა და იმავე მიზნით. იმათ დროშებს აწერია ერთი და იგივე დევიზი „ხელოვნება!“ არისტოტელიდან დაწყებული ჩვენ დრომდე ხელოვნებაზე ათასი ტომია დაწერილი, ათი ათასი აზრია გამოთქმული და ჯერაც ერთ გადაწყვეტილებამდის ვერ მისულან და ყველანი არც თუ როდისმე მივლენ, მაგრამ თუ მივიდნენ, ეს მხოლოდ იმას დაამტკიცებს, რომ ცხოვრება ერთ ადგილზე გაყინულა, მთელი კაცობრიობა ზნეობრივად, ქონებრივად, ფიზიკურად და სულიერად გათანასწორებულა და გაერთიანებულა. ეს კი შეუძლებელია. ყოველს ცოტად თუ ბევრად შეგნებულს და განვითარებულ კაცს სიტყვა „ხელოვნება“ თავისებურად ესმის და ამის სრული უფლებაცა აქვს, რადგან ხელოვნების პირველი, უმთავრესი და უკანასკნელი კანონი ამბობს: „სრული თავისუფლება!“

ის ორი წერტილი დრამატიულ ხელოვნების გაგების შესახებ, რომელზედაც თანამედროვე ქართველი საზოგადოებაა,—ძალიან შორი შორს უდგანან ერთმანეთს. ყოველ დღე უფრო მეტად შორდებიან ერთმანეთს და ბოლოს საქმე ერთი მათგანის სრულის დამარცხებით, ხოლო მეორის გამარჯვებით გათავდება. ადრე თუ გვიან ჩვენშიაც იგივე მოხდება, რაც გერმანიაში, ნორვეგიაში და სხვა განათლებულ ქვეყნებში მოხდა. ასეთი ცვლილება დრამატიულ ხელოვნებაში ან მაშინ მოხდება, როცა ჩვენი ქვეყანაც განათლების იმ წერტილს მიაღწევს, რომელიც ეხლა ზემოხსენებულ ქვეყნებს უჭირავთ, ანაც მაშინ, როცა ჩვენც გამოგვიჩნდება ქართველი გ. ბრანდესი, იბსენი, ჰაუპტმანი და სხვანი. უფრო-კი უნდა ველოდოთ პირველს, მაგრამ ლოდინით არც ერთი შეგნებული კაცი არ დაკმაყოფილდება.

ჩვენი თანამედროვე დრამა ყინულს მიჰყინებია და ყოველ ქართველის მოვალეობაა ამ ყინულის დადნობას უშველოს, რათა დაიძრას ჩვენი დრამატიული ხელოვნების ეტლი და იაროს თუნდ კუს ნაბიჯით, ოღონდ-კი არ შედგეს. მიზეზი ჩვენის საზოგადოების ორ მოპირდაპირე ბანაკად გაყოფისა? მიზეზი— „რა საჭიროა დაფიქრება, როდესაც პასუხი ყოველს ჩვენგანს ზედ ენაზე უტრიალებს? —დამნაშავე მხოლოდ ჩვენი ახალი თვალებია!“ დიაღ, ყველაფერი ჩვენი ახალი თვალების ბრალია. ჩვენ, დრამის ახალ მიმართულების მთხოვნელთ, ხელოვნება და იმისი დანიშნულება თეთრად გვეჩვენება მაშინ, როდესაც ზემოხსენებულ პატივცემულ ქართველს და იმის თანამოაზრეთ იმავ დროს და იგივე საგანი შავად ელანდებათ. ამათ არ ესმით ჩვენი ენა, ჩვენი მოთხოვნილება და აზრი. ზოგიერთების აზრით, დრამის ახალ მიმართულების მომხრენი, წარმოიდგინეთ, უარსჰყოფენ ეროვნულ ხელოვნებას! საიდან, ან როდის? პირიქით, ჩვენ ვამბობთ: „ხელოვნება ეროვნულ ჩარჩოში უნდა ჩაისვას“ და არა შოვინისტიურ ბნელ ორმოში. ეროვნულ ხელოვნებიდან შოვინისტიურ ხელოვნებამდე უსაზღვრო სივრცეც არის და ერთი ნაბიჯიც. ჩვენის აზრით, ძალიან შორს არის, პატივცემულ ქართველის და ამხ.-ს აზრით კი არაფერი განსხვავებაა. მართალია, ხელოვნების პირველი, უმთავრესი და უკანასკნელი კანონი „სრული თავისუფლებაა“ მეთქი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყოველ ბავშურ და ანბანურ პიესას ნება აქვს აბელას ფეხზედ შედგეს, სცენაზე გამოვიდეს და ოთხი საათის განმავლობაში მაყურებლები აწვალოს.

პატივცემულ ქართველისა და ამხ.-ის პროგრამის ერთი მუხლი ამბობს: „თუ იტყვიან, რომ (ორიგინალური პიესები) რიცხვით ბევრი გვაქვს, მაგრამ სახსენებელი არ არიანო, მაშინაც შესცდებიან: რაც უნდა ნაკლულევანი იყოს რ. ერისთავის, გ. წერეთლისა, თავ. გ. შარვაშიძისა, დ. მიქელაძისა და სხვების პიესები ჩვენის ცხოვრებიდან აღებული, კიდევ მაინც არა სჯობდეს კრილოვების, ივანოვების და ათას ჯანდაბოვების ნაჩხაბნებს.“ სად უპოვია ამ პროგრამის შემდგენელს ისეთი „დეკადენტი“, (?) რომელსაც უთქვამს: „გ. შარვაშიძისა და დ. მიქელაძის პიესები არ ვარგა, არ გვინდა; გვაჩვენეთ კრილოვისა და ივანოვების ნაჩხაბნები!?“ პატივცემულ ქართველს, უეჭველია, ან განგებ მოუგონია ამისთანა „დეკადენტი“ ბარბაროსი თავის ბარბაროსულ ხელოვნებით, ანაც სრულიად არ იცნობს ახალ დრამატიულ ლიტერატურას. იბსენი, ჰაუპტმანი, ზუდერმანი, სტრინდბერგი, ბარი, დრეიერი, ბრიე, ერიხი, გარტლებენი, კაპიუ, ნაიდენოვი, ჩეხოვი, და სხვებიც რომ ჩამოვთვალოთ? ესენი? ესენიც კრილოვები და ივანოვები არიან? პატივცემულ ქართველს ამ სიისათვის განგებ გვერდი აუქცევია და ვიღაც კრილოვებს და ივანოვებს მტვერს აღენს. რუსულ ღარიბ დრამატიულ ლიტერატურაში იმათაც ისეთივე ადგილი უჭირავთ, როგორიც ჩვენში „მტარვალის“ ავტორს.

ზემოდ ჩამოთვლილ ავტორების უარ-ყოფისა და გვერდის აქცევის ნამდვილი მიზეზი-კი სულ სხვაა. აი, სწორედ აქა ჰყოფს თავის წვრილმან თავს უკიდურესი შოვინიზმი. ქართველებისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენენ ისტორიული პიესები, ნემეცები და სხვანი კი მასალას დღევანდელ ცხოვრებიდან იღებენ; ქართულ სცენაზე უეჭველად კაბა-ქულაჯებით, ჩოხებით, ხმალ-ხანჯლებით, თეთრის წუღებით, ან კინტოურ ტანისამოსით უნდა გამოდიოდნენ; უცხოელთა პიესებში კი ფრაკებით, ცილინდრებით, ხალათებით და დახეულ-დაგლეჯილ პიჯაკებით გამოდიან. ქართულ პიესებში ყველამ არა ჩვეულებრივი, ამაღლებული და ციურ ენით უნდა ილაპარაკოს, წამდაუწუმ ხმალ-ხანჯალზე გაისვას ხელი, „საქართველოს გაუმარჯოს“ იძახოს, მაყურებლებს ზარბაზნების გრიალით ყურები გამოუჭედონ, ბოლოს უეჭველად მაინც ქართველებმა უნდა გაიმარჯვონ და პიესაში გმირად უეჭველად მეფე ან რომელიმე მხედართ-მთავარი უნდა იყოს გამოყვანილი. უცხოელთა პიესებში კი ისეთისავე ენით ლაპარაკობენ, როგორც ცხოვრებაშია, ხმალ-ხანჯლებს არ აპრიალებენ, „გერმანიას“ ან „საფრანგეთს გაუმარჯოს“ არა ყვირიან და გმირად უმეტეს შემთხვევაში ვილჰელმ I და ლიუდოვიკ მე-V ან მე-XII კი არა, უბრალო მომაკვდავნი, ვაჭრები, მოხელეები, მემამულეები, მუშები, როსკიპებიც-კი არიან ხოლმე. ეს კიდევ არაფერი. ქართულ ისტორიულ პიესებში მომქმედნი პირნი ყოველთვის და ყველაფრით კმაყოფილნი არიან (გარდა სპარსთა ბატონობისა.) ისინი იბრძვიან მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკურ თავისუფლებისთვის, იმათი ცხოვრება, ბედნიერება, დედა, შვილი, მამა, ცოლი, ქმარი, იმათი სამშობლოს ჰაერი, ქვა, წყალი და ბალახიც კი გაჟღენთილია მხოლოდ ერთის აზრით, მხოლოდ ერთის მისწრაფებით: ძირს სპარსეთი! გაუმარჯოს საქართველოს, ისევ საქართველოს და მხოლოდ საქართველოს!! გარდა ამ აზრისა ჩვენ მამა პაპათ არასდროს არარა აწუხებდათ. ისინი ბედნიერნი იყვნენ მაშინაც კი, როცა მამულისთვის სპარსთ აკვდებოდნენ, როცა მემამულე ძაღლზე დაბლა აყენებდა. ტკივილი, უსამართლობა და არა გვარი ტანჯვა იმათ არ იცოდნენ. უცხოელთა პიესებში კი—არა, იცით რისთვის იბრძვიან? წარმოიდგინეთ, პიროვნების თავისუფლებისთვის, ადამიანთა უფლების დაცვისათვის. იქ სცენაზე გამოჰყავთ უბრალო, სულ უბრალო ცოცხალი კაცები, სცენაზე გადააქვთ ნამდვილი, რეალური ცხოვრება, ხალხის ნამდვილი ტანჯვა-წვალება, ბრძოლა, დამარცხება, გამარჯვება, კაცის სისულელე, ნაკლულევანება, მისი სასაცილო და სატირელი მხარე, იმისი წვრილმანი და ყოველდღიური მოვლენა და მოთხოვნილება. არც „საქართველოს გაუმარჯოს“, არც ბავშური, ანბანური ფსიხოლოგია, ანუ მისი სრული უარყოფა, არც მოულოდნელი და შეუძლებელი შინაარსი და... ყველაფერს ვინ ჩამოსთვლის! უმთავრესი კი—უცხოელებმა ის უბრალო ჭეშმარიტებაც კი არ იციან, რომ ხელოვნება შოვინისტურ ვიწრო, ვიწრო ფარგალში უნდა ჩავჩხიროთ, ჰაერი და სინათლე მოვუსპოთ და ამ ნესტიან და ბნელს ორმოში ამოვახრჩოთ.

(დასასრული იქნება)

ბოდა სატრფოს, თითქოს სულში უნდა ჩაუძვრესო.

რამდენადაც მშვენიერი იყო ბ-ნი მესხიშვილი, იმდენად ცუდი იყო და პირველს ხელს უშლიდა ქ-ნი ყიფიანის ასული—ელენე, კეფელდის მეუღლის ხელში: მეტის-მეტი მოუხეშავი, მეტის-მეტი ცივი, გაუბედავი. მისი ედმონდ კინთან ალერსი რაღაც უსულგულო, უაზრო სიტყვები იყო; უბიდან თავის სურათს იღებს და ისე უგულოდ აძლევს კინს, თითქოს ძუნწი კაცი სამოწყალოს იძლევაო. თან ტანისამოსის გასწორებაც კი ავიწყდება სურათის ამოღების შემდეგ. ბ-ნი გუნია—გრაფ კეფელდი—თავის ადგილზე იყო. მოხდენილი ტანადობა, გრიმი, რიხიანი ლაპარაკი, დარბაისლური, თან ამაყი მიხვრა-მოხვრა—ყველაფერი ხელს უწყობდა დანიის დესპანის დასახატავად. კარგი იყო ბ-ნი ბალანჩივაძე მოხუც სოლომონის როლში. ბ-ნს დ. ჩარკვიანს ნაკლებად ეტყობოდა უელსის პრინცობა—ძლიერ აკლდა პრინცის სითამამე. ქ-ნი რონელი მოხდენილად თამაშობდა პისტოლის როლს; ქ-ნი მდივანი კი ამ დღეს ვერ იყო რიგიანი. დანარჩენ მსახიობთა შესახებ არც „ჰო“ ითქმის და არც „არა“.

დონ-ვალიანი

სასამართლო

I

პოლიცმეისტრის გასამართლება

(წერილი ქუთაისიდან)

1 ნოემბერს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ გაარჩია საქმე ქუთაისის პოლიცმეისტრის ლისოვსკისა. იმდენ საზოგადოებას მოეყარა თავი, რომ ვეებერთელა დარბაზში ტევა აღარ იყო. თავმჯდომარეობდა ვრასკი, წევრებად იყვნენ გეგიძე და ორლოვსკი, ბრალსა სდებდა შულცი, ბრალდებულს იცავდა ნაფიცი ვექილი შევალიე. ქუთაისის პოლიცმეისტერს ბ-ნ ლისოვსკის, როგორც ოქმიდანა სჩანს, ჰბრალდებოდა შემდეგი: ა) 26 ოქტომბერს, 1902 წელს აზნაურის ივლიანე მესხის შეპყრობის დროს პოლიცმეისტერს უმიზეზოდ უცემნია იმისთვის, შემდეგ თოკით შეუკვრევინებია და თავშიშველა ახალუხისამარა გაუგზავნია საპყრობილეში. ბ) ამ შეპყრობის დროს შეურაცხყოფა მიუყენებია პოლიციის უბნის ზედამხედველის საყვარელიძისთვის შემდეგის სიტყვებით: „что же ты стерва, не свяжешь его!“ და სხ.; გ) შემდეგ, როდესაც მესხი საპყრობილეში იჯდა, ლისოვსკის საპყრობილის უფროსის მაჰმუდ-ბეგისთვის სამსახურის ასრულების დროს სიტყვიერი შეურაცხოფა მიუყენებია, უთქვამს „ешак“-ო, „შარნიკად ნამყოფ“-ო და სხ.

ამ საქმის გამო ოცზე მეტი მოწმე იყო დაბარებული. საპყრობილის მოსამსახურეებმა თითქმის ერთხმად აღიარეს ყველაფერი, რაშიაც ბ-ნს ლისოვსკის მაჰმუდ-ბეგის შეურაცყოფისათვის ბრალი ედებოდა. დანარჩენი მოწმეები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს. ერთნი ამტკიცებდნენ: როდესაც პოლიცმეისტერი ჟანდარმებითა და პოლიციელებით შევიდა მესხის სახლში, იქ ვახშმად ისხდნენ. ბევრი მაშინვე ფეხზე წამოდგა, ზოგიერთი კი ისევ სუფრასთან დარჩა. პოლიცმეისტერმა დაუყვირა იმათ, „როგორა ჰბედა-ვთ ჯდომას, როდესაც პოლიციის უფროსი თავზე გადგიათო“ და ერთს მჯდომთაგანს ჯოხი ჰკრა და თავიდან ქუდი გადააგდებინაო. შემდეგ გაჩხრიკეს ერთი ოთახი, მაგრამ შიგ ვერაფერი ნახეს. მეორე ოთახში ნახეს დაკეტილი კიდობანი. პოლიცმეისტერმა მესხს გასაღები მოსთხოვა, მაგრამ იმან უთხრა: „კიდობანი დედა-ჩემისაა და გასაღები იმასა აქვსო. ამ დროს პოლიცმეისტერმა მესხს სახეში გაარტყა და უბრძანა პოლიციელთ იმისი შეკვრა. ამასობაში მესხის დედას გამოართვეს გასაღები, გაჩხრიკეს კიდობანი, მაგრამ შიგ ვერა იპოვნეს-რა. შემდეგ მესხს ხელები თოკით უკან გაუკრეს და უბნის ზედამხედველმა და სამმა პოლიციელმა საპყრობილეში წაიყვანესო. რამდენმამე მოწმემ ისიცა სთქვა, როდესაც მესხი ჩივილს უპირებდა პოლიცმეისტერს, უკანასკნელმა კაცები მიუგზავნა მესხის ძმას და სთხოვა: შენმა ძმამ ჩივილს თავი დაანებოს; უარჰყოს, რომ პოლიცმეისტერმა ის გალახა და შეჰკრა; ამის მაგივრად განთავისუფლება ითხოვოს და პოლიცმეისტერიც განათავისუფლებინებსო. სხვათა შორის, პოლიცმეისტრის წინააღმდეგ ილაპარაკა პროკურორის ამხანაგმა ბ-ნმა მალინოვსკიმ და ორმა ჟანდარმმა, რომელთაც მესხთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ. პოლიცმეისტრის მხრით ჩვენება ჩამოართვეს: პოლიციის ბოქაულს ტერ-ანტონოვს, უბნის ზედამხედველს საყვარელიძეს და რამდენსამე პოლიციელს. პირველმა, სხვათა შორის, სთქვა, რომ მესხისთვის პოლიცმეისტერს არ უცემია. არც საყვარელიძისთვის „стерва“ უწოდებია; მართალია, ბაწრით კი შეაკვრევინა მესხი, მაგრამ ეს საჭირო იყო, რადგან ბნელი ღამე იყო და შეიძლებოდა გაქცეულიყოო. თითქმის სიტყვა-სიტყვით განიმეორეს ეს დანარჩენებმაც, მხოლოდ ის კი სთქვეს, მესხს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია და არც გაქცევა დაუპირებიაო. როდესაც ამ მოწმეებს პირში წაუყენეს ორი ჟანდარმი, პირველნი სახტად დარჩნენ, მაგრამ თავიანთი სიტყვები მაინც არ გადასთქვეს.

ბრალმდებელი ბ-ნი შულცი თხოულობდა, პოლიციელების ჩვენებისათვის სასამართლოს არავითარი მნიშვნელობა არ მიეცა, რადგან ისინი ადგილის დაკარგვას შიშობენ და იმისთვის ლაპარაკობენ უფროსის სასარგებლოდაო. დამნაშავედ სთვლიდა ბ-ნს ლისოვსკის ყველა ჩამოთვლილ მუხლებში და თხოულობდა იმის კანონიერად დასჯას. შემდეგ ილაპარაკა ბრალდებულის დამცველმა ბ-ნმა შევალიემ. იმან, წინააღმდეგ, ითხოვა, პოლიციელების ჩვენებას მეტი მნიშვნელობა მისცემოდა, ვიდრე სხვებისას. „მათ პირველ გამოძიებაზედაც ისე აჩვენეს, რაც ეხლა, და იმ დროს კი პოლიცმეისტერი გადაყენებული იყო ადგილიდან და პოლიციელთ არავითარი ადგილის დაკარგვის შიში არ ექმნებოდათ. იმ დროს არამც თუ მხარს დაუჭერდნენ პოლიცმეისტერს, კიდეც ეცდებოდნენ იმის დასჯასაო.“

რამდენისამე წამის შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც ბ-ნი ლისოვსკი დამნაშავედ იქმნა ცნობილი და მიესაჯა ორის კვირით საპყრობილეში დაპატიმრება.

II

ბოქაულის არდიშვილის საქმე

1896 წელს, 4 ივნისს, ღამე, ქიათურაში ვაჭრის თედორე არდიშვილის მაღაზიიდან საშინელი ყვირილი გაუგონიათ. როდესაც მოუწევიათ ქიათურის სამრეწველო ბოქაული ნესტორ ნ. არდიშვილი და შესულან მაღაზიაში, უნახავთ თოკით შეკრული და იატაკზე დაგდებული მაღაზიის მოსამსახურე პლატონ ფერაძე. ფერაძეს უთქვამს ბოქაულისათვის, ვიღაც ბოროტ-განმზრახველნი თავს დამეცნენ, მე თოკით შემკრეს და ისე დამაგდეს, ხოლო კასიდან 4184 მანეთამდე წაიღესო. ბოქაულს გაუსინჯავს თოკი, რომლითაც შეკრული იყო ფერაძე. აღმოჩნდა, რომ ეს თოკი ნაჭერი იყო მაღაზიაში გასასყიდად დაკიდებულ თოკისა. ამიტომ ბოქაულს ეჭვი აუღია ფერაძეზე, თავისთან მიუწვევია და ურჩევია გამოტეხილიყო. ბევრის ყოყმანის შემდეგ, როდესაც ბოქაული დაჰპირებია თუ გამოტყდები, პასუხის გებაში აღარ მიგცემთო, ფერაძე გამოტეხილა და მოპარული ფულიდან 3804 მან. 40 კაპ. გადაუცია იმისთვის თედორე არდიშვილისათვის დასაბრუნებლად. ფერაძეს ბოქაულისათვის არ უთქვამს, რა უყო დანარჩენ 384 მანეთს. მეორე დილას ვაჭარ არდიშვილს ბოქაულისთვის მოუთხოვნია ფული. ბოქაულს უთქვამს, თუ ნახევარს საქველმოქმედოდ გადასდებ, დიგიბრუნებო. ამის შემდეგ ვაჭარი საჩხერეში წასულა და გამომძიებლის ხაბურზანიასათვის უცნობებია. თუმცა ბოქაულს ამ საქმის გამო ოქმი არ შეუდგენია, გამომძიებელი შესდგომია საქმის გამოძიებას და პასუხის გებაში მიუცია ფერაძე. როგორც საქმიდანა სჩანს, ბოქაულს არა სდომებია ოქმის შედგენა, რომ ფერაძე პასუხის გებაში არ მიეცათ. ამას, სხვათა შორის, გამომძიებელიც სწერს. შემდეგში ბოქაულს ვაჭრის არდიშვილისათვის ჩამოურთმევია ხელწერილი, რომ იგი ფერაძეს პასუხის გებაში არ მისცემდა. ამ ხელწერილის შემდეგ ბოქაულს არდიშვილისათვის დაუბრუნებია ფული. ამასთან ბოქაულს დაუჭერია აღნიშნულ ფულიდან 100 მან. თავის ნაცნობის თავ. მიქელაძისთვის გადასაცემად, რადგან ეს უკანასკნელი დაეხმარა ფულის აღმოჩენაში, 75 მან. „სტრაჟნიკებისათვის“, და 50 მან. ეკკლესიის ს.სარგებლოდ. არდიშვილს სცოდნია, რომ გამომძიებლის მიერ საქმე იყო აღძრული, მაგრამ ამისდამიუხედავად ფერაძე საპატიმროდან გაუნთავისუფლებია 10 ივლისს. პლატონ ფერაძეს ქუთაისის ოლქის სასამართლომ გადაუწყვიტა ერთის წლით საპყრობილეში დაპატიმრება ღირსებათა ჩამოურთმევლად. სამოსამართლო პალატას ოლქის სასამართლოს განაჩენი დაუმტკიცებია და ფერაძეს სასჯელი უკვე მოუხდია. ამავე საქმის გამო ბოქაული არდიშვილი პასუხის გებაში მიუციათ.

ეს საქმე ტფილისის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა 1 ნოემბერს ქ. ქუთაისში. პალატამ დამნაშავედ იცნო ნ. ნ. არდიშვილი და გადაუწყვიტა სამსახურიდან დათხოვნა და ორის თვით საპყრობილეში დაპატიმრება. ამასთან პალატამ დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, არდიშვილს ეპატიოს გადაწყვეტილი სასჯელი.

III

მკითხველებს ეხსომებათ, რომ გაზაფხულზე სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქტორის თავ. გ. მ. თუმანოვისა, რომელსაც გორის მაზრის უფროსის თანაშემწე ნაბიბეგოვი დიფამაციას უჩიოდა. პალატამ დამნაშავედ იცნო თავ. თუმანოვი და გადაუწყვიტა 15 მან. დაჯარიმება. თავ. თუმანოვმა პალატის განაჩენი განასახჩივრა სენატში. სენატს პალატის განაჩენი გაუუქმებია და თავ. თუმანოვი დამნაშავედ არ უცვნია.

IV

გუშინ, 3 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე რკინის გზის მოსამსახურის დომაშევსკისა, რომელსაც ჰბრალდებოდა ცრუ დაბეზღება. დომაშევსკის მთავრობისათვის ქაღალდი მიუცია, რომელშიაც სწერდა, რომ ტფილისის სადგურის უფროსი კულჩინსკი ქრთამებს იღებსო. რადგან გამოძიებით ეს არ დამტკიცებულა, დომაშევსკი პასუხის გებაში მიუციათ. ოლქის სასამართლომ დომაშევსკი დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა 6 თვით საპყრობილეში დაპატიმრება.

V

დღეისთვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში განსახილველად დანიშნულია საქმე ინჟენერ-ტეხნოლოგის ვ. ს. ხოიცევისა, ხეჩატურ მელიქ-სარქისოვისა, ბაირამ-ალახ-ყული ოღლისა და დოსტ-მამედ ოღლისა, რომელთაც ჰბრალდებათ ერევნის გუბერნიაში მარილის მადანში ერთის მუშის დამწყვდევა. მუშას მაღაროში თავი ჩამოუხრჩვია. ბრალდებულს ხოიცევს დაიცავს პეტერბურგელი ვექილი ბ-ნი მირონოვი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 **ოქტომბერი**

ხარკოვი. სამთო მრეწველთა კრებაზე დიტმარის მოხსენება წაიკითხეს მადნების მუშათა დაზღვევის შესახებ; მომხსენებელი ურჩევს მუშების დაზღვევის საქმის მოწყობას საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებათა საშუალებით; საზოგადოებაში მრეწველებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ეკატერინოსლავი. საგუბერნიო ერობამ აღძრა საკითხი, რომ ადგილობრივ სამთო ინსტიტუტში აგრანომიული განყოფილებაც დაარსდეს.

ურმია. ზარბაზნებით დახვრიტეს სამი ქურთი, რომელთაც სიკვდილით დასჯა ჰქონდათ გადაწყვეტილი ავაზაკობისათვის.

პოლდსდამი. ბიულეტენი: „ჭრილობა თითქმის მოურჩა. გუშინდელ დღიდან იმპერატორს შეუძლია წყნარად ლაპარაკი“.

პიზა. მეფე-დედოფალი ინგლისს წავიდნენ; მათ ახლავს გარეშე საქმეთა მინისტრიც.

ადენი. დასრულდა გალაშქრება ქუტებთა ტომის წინააღმდეგ. ინგლისელებმა დაამარცხეს და დასაჯეს აჯანყებულნი. შემდეგ დაბრუნდნენ.

ვაშინგტონი. სახელმწიფო დეპარტამენტს არ მიუღია ცნობა იმის შესახებ, რომ კოლუმბიის ჯარმა რეიდსის წინამძღოლობით პანამის წინააღმდეგ გაილაშქრა. ამბობენ, შეერთებულ შტატების მთავრობამ გადასწყვიტა, ხელი შეუშალოს უთველგვარ შეტაკებას რკინის გზის ახლოს.

ტიანძინი. ხმა არის, რომ რუსის ჯარის კაცთა რაზმი, რომელიც შანჰაიგუანისაკენ მიდიოდა, გზაში შეეხეჩა ჩინელთა ჯარის რაზმს. მოხდა ბრძოლა, რადგან რუსები ირწმუნებოდნენ, რომ მათ დაუხვდათ ავაზაკები და არა ჩინელი ჯარისკაცები.—როგორც ამბობენ, 10 ათასი ჩინელი ჯარის კაცი მანჯურიის საზღვარზე გადავიდა.

სოფია. მთავარმა გახსნა დღეს საერო კრება. სიტყვაში ნათქვამია, მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარს, რათა კარგი განწყობილება დაიცვას რუსეთთან და სხვა დიდ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი მეზობელ სახელმწიფოებთან.

კოპენჰაგენი. ფრედენსბერგის სასახლეში, რომელიც მეფის იუბილეის გამო დროშებით არის მორთული, მეფე ხრისტიანმა მიიღო ყველა მინისტრები, ინგლისის რწმუნებული და სამხედრო აგენტი; ამან გადასცა მეფეს, რომ იგი დანიშნულია ინგლისის მხედრობის გენერლად. მეფემ მიიღო აგრეთვე გენერალ-ადიუტანტი მოლტკე, რომელმაც გადასცა იმპერატორის ვილჰელმის ბარათი.

სტამბოლი. რუსეთისა და ავსტრიის უკანასკნელ განცხადებაში ნათქვამია, რომ ზოგიერთი დიდი სახელმწიფო უფრო ფართო რეფორმების მოხდენას თხოულობს ოსმალეთისაგან; ამიტომ ოსმალეთისათვის ხელსაყრელია რუსეთისა და ავსტრიის მოთხოვნათა შეწყნარება. ამ განცხადებამ საკმაო შთაბეჭდილება მოახდინა ილდიზ კიოსკში. მინისტრთა კრებამ საბოლოოდ ვერაფერი გადასწყვიტა. ხმა არის, რომ ოსმალეთის პასუხის პროექტს ხვალ განიხილავს მინისტრთა საბჭო.

სოფია. საერობო კრება მთავარს მიეგება ტაშის ცემითა და ურას ყვირილით. სეფე-სიტყვაში აღნიშნულია მიზეზები სამინისტროს შეცვლისა და ახალის არჩევნებისა, რომლის შედეგით მთავარი კმაყოფილია. შინაგან საქმეთა მინისტრმა პეტკოვმა წინადადება წარუდგინა კრებას, გააუქმოს საერო კრების ახლანდელი წესდება, დროებით მიიღოს უწინდელი წესდება, რომელიც სტამბულოვის დროს მოქმედებდა, და არჩეულ იქმნას კომისია ახალ წესდების შესამუშავებლად. ცხარე კამათის შემდეგ უმრავლესობამ პეტკოვის წინადადება მიიღო: ოპოზიციის ზოგიერთ ორატორებს ლაპარაკის ნება არ მისცეს.

სოფია. სეფე-სიტყვა აცხადებს, რომ მიმდინარე წლის ზოგიერთმა შემთხვევამ აიძულა მთავარი ვადის დასრულებამდე დაეთხოვნა უწინდელი საერო კრება და ხალხისათვის ეთხოვნა რჩევა, როგორი მიმართულება მისცეს სახელმწიფო საქმეებს. ხალხმაც, რომელსაც შეგნებული აქვს აწინდელ მომენტის დიდი მნიშვნელობა, ახალ წარმომადგენლებს მიანდო მძიმე საქმე ქვეყნის საერო მისწრაფებათა აღსრულებისა და სამშობლოს აყვავებისათვის. სეფესიტყვა ამას დასძენს, რომ მშვიდობიანობა, რომელით არჩევნების დროს სუფევდა, პროგრესის უტყუარი საბუთია. დეპუტატებს მოელის სერიოზული და სასარგებლო მოღვაწეობა სახელმწიფო მართვა-გამგეობაში მტკიცე წესიერების დასამყარებლად და ბულგარიის ერის ეკონომიურისა და სოციალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 31 ოქტომბერი

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,75	
ბერლინისაზე 100 მარკაში	45,90	
პარიზისაზე 100 ფრანკში.	37,32½	
ლონდონისაზე ჩეკები	94,75	
ბერლინისაზე „	46,30	
პარიზისაზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	5-6½%	
4% სახელმწიფო რენტა	99½	გაყ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ. . . .	—	
4½% შინაგანი სესხი 1903 წ. . . .	—	
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ. .	95⅛	მყიდ.
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ. .	465	გაყ.
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	353	„
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	293½	„
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ. . .	—	
4½% ობლ. იმავე საზოგად..	—	
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ. . .	—	
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—	
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა. .	—	
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. . .	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია. . . .	225	„

განცხადებანი

სამკურნალო

ქალთა ავადმყოფობებისა სამშობიარო განყოფილებით ექიმების **ე. სობესტიანსკისა და პ. ჩერეპანოვისა**. მიღება დასაწოლად მოსულებისა, ფეხმძიმეებისა და მშობიარეთა ყოველ დროსა და საათს შეიძლება, საჭირო წინ-და-წინვე განცხადება.

ადრესი: ანასტასიევის ქუჩა, სახლი ჩერეპანოვისა. (15—187—3)

პ. ი. ავსარქისოვის

ბაღში

იყიდება ხეხილები როგორც საზღვარგარეთისა, ისე აქაურ ჯიშისა. ფასები შემდეგია: ერთის წლის ხე—20 კაპ., ასი ცალი—15 მანეთი; ორი წლის ხე—35 კაპ., ასი ცალი—25 მან. ადრესი: უბრალო წერილებისთვის—სადგური სკრა ამიერ-კავ. რკინის გზა; ფულისა და დაზღვეულ წერილებისთვის—გორი, პ. ი. ავსარქისოვს. კატალოგები მსურველთ უსასყიდლოთ გაეგზავნებათ. (10—143—8)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

ხის ნახშირის

საწყობი

იაგორ გურგენის ძის მამინაიშვილისა (საგუთარის ტყიდან) გადავიდა ოლგას ქუჩაზედ, ბაშინჯაგოვის სახლში, № 23, სარაჯიშვილის ქარხნის პირდაპირ. (7—6.—5)

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

(Электропеч. Груз. Издат. Т—ва).